

განმარტებითი ბარათი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით დაფინანსებისას გადაცემული თანხების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობის მიცემა. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის არსებული რედაქციის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც დაფარა ყველა მიმდინარე ხარჯი და რომელსაც ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერის სახით გადაცემული თანხის ნაწილი რჩება თავისუფალი, აღნიშნულ თანხას ვერ გამოიყენებს დაწესებულების კაპიტალური ხარჯების დასაფარავად. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში აქვს ფინანსური შესაძლებლობა ამ სახსრებით დაფაროს დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალური ხარჯები, ვაუჩერის სახით გადაცემულ თანხებს ვერ გამოიყენებს კაპიტალური ხარჯების დასაფარავად, რაც აფერხებს დაწესებულების ნორმალურ საქმიანობას.

კანონპროექტის მიღების მიზეზს ასევე წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს ფორმირების წესის გამარტივება და მისი დასაშვებ ფარგლებში მდგრადობის უზრუნველყოფა. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის არსებული რედაქციის თანახმად, მშობელს უწყდებოდა სამეურვეო საბჭოს წევრობა, თუ მოსწავლე, რომლის წარმომადგენლადაც ის ითვლებოდა გადავიდოდა სწავლების სხვა საფეხურზე. აღნიშნული აზრსმოკლებულს ხდიდა ნებისმიერი საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლის მშობლის მიერ სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა სკოლის მოსწავლეთა მშობლებს და ზღუდავდა მათ უფლებებს.

კანონპროექტის მიღების მიზეზს ასევე წარმოადგენს მცირე ბიუჯეტის მქონე საჯარო სკოლების დაფინანსებას გაზრდილი ვაუჩერით ან სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში აუცილებელი დამატებითი დაფინანსების განხორციელებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომლის შესაბამისადაც ისინი სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის სახით გადაცემულ თანხას გამოიყენებენ დაწესებულების კაპიტალური ხარჯებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული თანხა არ სჭირდება მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს ასევე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დამატებითი დაფინანსების ცნების შემოღება, როგორც ეს გათვალისწინებულია „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტით. შესაბამისად, იარსებებს ალტერნატივა მცირე ბიუჯეტის მქონე საჯარო

სკოლების, რომლებიც არსებული სახსრების ფარგლებში ვერ უზრუნველყოფენ სწავლების მაღალ დონეს, დაფინანსდეს ან გაზრდილი ვაუჩერით, ან სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დამატებითი დაფინანსებით. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, საჯარო სკოლას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს სტანდარტული ვაუჩერით დაფინანსების უკმარისობის გამო, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გამოუყოფს დამატებით დაფინანსებას, რომელიც შესაძლებელია იყოს განსხვავებული სკოლების საჭიროებებისა და ფინანსური სახსრების დეფიციტის მიხედვით.

კანონპროექტი იმავდროულად მიზნად ისახავს სკოლის ნებისმიერი საფეხურის დამამთავრებელი კლასის მოსწავლის მშობლებისა და სხვა კლასების მოსწავლეთა მშობლებისათვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების დაკისრებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ იურიდიულ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს მისცემს ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერის სახით გადაცემული თანხის ეფექტურად და დაწესებულების საჭიროებისამებრ გამოყენების შესაძლებლობას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლია ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

არ ითვალისწინებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან, რომელშიც აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორი არის საქართველოს მთავრობა.